

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს კერძო სკოლა „ალბიონი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის)

საიდენტიფიკაციო კოდი: 200072152

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

II. ელექტრონული ფორმით (CD-R-ით) დასართავი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:
 სულ _____ გვერდი

<input type="checkbox"/>	სასკოლო სასწავლო გეგმა
<input type="checkbox"/>	სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაცია კათედრების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა, თემატურ-კალენდარული/თემატური ერთეულის გეგმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<input type="checkbox"/>	სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, დაწესებულების წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტაცია
<input type="checkbox"/>	სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემისა და დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
<input type="checkbox"/>	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფართის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
<input type="checkbox"/>	დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები/ფუნქციონირების მარეგულირებელი დოკუმენტ(ებ)ი
<input type="checkbox"/>	დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები
<input type="checkbox"/>	დაწესებულების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (Curriculum Vitae, კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების ან/და სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია)
<input type="checkbox"/>	დაწესებულების ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
<input type="checkbox"/>	დაწესებულების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან დადებული მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები
<input type="checkbox"/>	სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (SWOT ანალიზი ან/და სხვა) ამსახველი დოკუმენტაცია
<input type="checkbox"/>	საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარის შემუშავების პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების ან/და პირების შესახებ ინფორმაცია და არსებობის შემთხვევაში შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

III. დაწესებულების მისია

შ.პ.ს. კერძო სკოლა „ალბიონის“ მისიაა უსაფრთხო, პოზიტიურ გარემოში ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით და მაღალკვალიფიციური მომსახურებებით, წარმატებულ ცხოვრებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბება.

საზოგადოებასთან და მშობლებთან თანამშრომლობის გზით, განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, მიზნად ვისახავთ თითოეული მოსწავლის აკადემიური, სოციალური, ფიზიკური და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ჩვენი სკოლა ხელს უწყობს ბავშვზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას.

სკოლის მიზანია ისეთი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს განათლებული, ინტელექტუალური, ზნეობრივად განვითარებული და სოციალურად ადაპტირებული პიროვნების აღზრდას.

მისიიდან გამომდინარე სკოლის საგანმანათლებლო პოლიტიკის პრინციპები:

- ეფუძნება ეროვნულ-სასწავლო გეგმას, სკოლის დებულებებს, განათლების ეროვნულ მიზნებს;
- საგანმანათლებლო პროცესი აგებულია განათლების უწყვეტობის, ინტეგრირებულობისა და თანმიმდევრობის პრინციპზე;
- საგანმანათლებლო პროცესი ქმნის თითოეული პიროვნების განვითარების საშუალებას: სკოლაში ჩამოყალიბებულია დემოკრატიული სასწავლო გარემო, დამკვიდრებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- საგანმანათლებლო საქმიანობის ფორმების მრავალფეროვნება(სხვადასხვა ფორმებისა და ხერხების გამოყენება);

IV. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

აღწერა:

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმით და სკოლის მისიით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად შემუშავებულია მოსწავლეების საჭიროებებზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა.

მისი შემადგენელი ნაწილებია:

- სკოლის მისია;
- სკოლაში სამუშაო პირობები და დღის რეჟიმი;
- სასკოლო საათობრივი ბადე;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებით საგანმანათლებლო და სააღმწიფო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
- საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება;
- სკოლის მიერ შერჩეული გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა;
- შეფასების სისტემა;
- შეფასების რუბრიკები;
- დისციპლინა;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ინკლუზიური განათლების სამუშაო გეგმა;
- კათედრების სამუშაო აღწერილობა;
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);

სასკოლო – სასწავლო გეგმაში ასევე მოცემულია დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც დამრიგებლებს შედგენილი აქვთ ინდივიდუალური პროგრამა – სასაუბრო თემები „კლასის საათისთვის“. I-VI კლასებში ასევე ტარდება „კითხვის საათი“, რომლის მიზანია წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერება.

სკოლას ამჟამად არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, მაგრამ მზად არის მიიღოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები და მათთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა/გეგმა;

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

სკოლას V-VI კლასებში დაწესებული აქვს წლიური გამოცდები, რომელიც ემსახურება სკოლაში მოსწავლეთა დონის შემოწმებას და გავლენა აქვს შეფასებაზე. წლიური გამოცდა ტარდება 2 საგანში.

სკოლის სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ სასწავლო გეგმას. დასახული მიზნების მისაღწევად მობილიზებულია სკოლის მთელი ადამიანური რესურსი.

დასტურდება:

შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ 2018–2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
სადამრიგებლო პროგრამა (პროექტი);
საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები (პროექტი);
სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;
სკოლის განვითარების გრძელვადიანი (6 წლიანი) სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა(პროექტი);

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

აღწერა:

სკოლის სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია შესაბამისი საფეხურის ამოცანები, მოსწავლეთა მოთხოვნები, ინტერესები და სკოლის პრიორიტეტები. სკოლაში ფუნქციონირებს 4 საგნობრივი კათედრა:

1. ჰუმანიტარულ და დაწყებით მეცნიერებათა კათედრა;
2. მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და დაწყებით მეცნიერებათა კათედრა;
3. უცხო ენების კათედრა;
4. ესთეტიკის, სპორტისა და დაწყებით მეცნიერებათა კათედრა;

სკოლის მისიიდან გამომდინარე მოსწავლეთა მოთხოვნების და შესაძლებლობების გათვალისწინებით სკოლის სასწავლო გეგმა პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო კონცეფციაა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს შედეგის მიღწევა. სასკოლო სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას შესრულდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული საფეხურების ძირითადი ამოცანები. იგი პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომლებიც ასახულია საგნობრივ სილაბუსებში. სადამრიგებლო პროგრამები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებას.

სკოლაში ასწავლიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები, მათ შორის 1 პროფესორი, 1 უფროსი მასწავლებელი.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

დასტურდება:

შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ 2018–2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტი;

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა:

სკოლაში არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით ყველა პირობაა შექმნილი სსსმ მოსწავლეთა მომსახურებისთვის. შემუშავებული გვაქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. აღნიშნული მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით შემუშავებულია განათლების ინდივიდუალური გეგმა, პროგრამა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების სრულ ჩართულობას კლასის ცხოვრებაში. შესაბამისად, სწავლება თანამშრომლობაზე იქნება ფოკუსირებული და ბავშვზე ორიენტირებული. გათვალისწინებული იქნება მათი ინდივიდუალური საჭიროებები, ძლიერი მხარეები და სწავლის სტილი. სწავლების ძირითადი მეთოდი იქნება პრობლემაზე ორიენტირების სწავლება. სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის მატერიალური ბაზა, კლასებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა და დღის გახანგრძლივებული რეჟიმი უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლასა და განვითარებას თანაბარი შესაძლებლობებით. სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი სილაბუსები გათვლილია სხვადასხვა ნიჭისა და უნარის, ცოდნისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე, მათი ინდივიდუალური ინტერესებისა და საშუალებების გათვალისწინებით;

დასტურდება:

შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ 2018–2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);

სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროგრამა;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

აღწერა:

სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია სასკოლო შეფასების სისტემა, ნიშნების გამოანგარიშებისა და მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარების წესი, რომელიც აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პროგრამის მოთხოვნის საფუძველზე.

სკოლის შეფასების სისტემა, რომელიც ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმის რეკომენდაციებს, მოიცავს შეფასების პრინციპებს, აქტივობებს, ფორმებსა და რუბრიკებს. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას. შეფასების სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ახდენს შეფასების სისტემაში შესული ცვლილებების შესახებ, აგრეთვე აცნობს იმ საგნების ჩამონათვალს, რომლებშიც მათ ექნებათ წლიური გამოცდები. ყოველი წლის დასრულებისას პედაგოგები აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას. მოსწავლეთა შეფასების სისტემა აგებულია ისე, რომ შესაძლებელია მოსწავლეთა შეფასება სხვადასხვა ფორმით. ეს ფორმებია: ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერიტი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა.

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი, რომლის შეფასების საგანიცაა სწავლის პროცესი და განმსაზღვრელი, რომლითაც ფასდება სწავლის შედეგი. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით.

დასტურდება:

საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები შემაჯამებელი დავალებების ანალიზით;

შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ 2018–2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

აღწერა:

1. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება: მშობელთა კრებაზე, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს, მშობელთა რიგგარეშე კრებაზე, საგნის მასწავლებელთან შეხვედრაზე (მასწავლებელი მშობელთან პირადი ურთიერთობის დროს, უფლებამოსილია მშობელს გააცნოს შვილის აკადემიური მოსწრება, მხოლოდ იმ სასწავლო საგანში, რომელსაც ასწავლის), ელექტრონული ფოსტით ან/და ტელეფონით, სკოლის მიერ შედგენილი ფორმის საშუალებით;

2. მოსწავლის აკადემიური მოსწრების ან/და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია. მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან ადმინისტრაციის წევრი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

3. სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება საკლასო კრებებზე კლასის დამრიგებლის მიერ.

4. კლასის მშობელთა კრებას იწვევს კლასის დამრიგებელი. მშობელთა კრებაზე განიხილება სასწავლო პროგრამების განხორციელების, დისციპლინის, ორგანიზაციული და სხვა საკითხები. კლასის მშობელთა კრება მოიწვევა სასწავლო წლის ყოველი თვის ბოლო კვირაში, პირველი და მეორე სემესტრის დასრულებისას. რიგგარეშე კრების მოწვევის საკითხს კლასის დამრიგებელი უთანხმებს სკოლის დირექტორს. მშობელთა კრებაზე შეიძლება მოწვეულ იქნეს ნებისმიერი საგნის მასწავლებელი და სკოლის ადმინისტრაციის წევრი.

5. სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა მოხდეს მოსწავლისა და მშობლის ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ.

6. მშობელთა კრებისათვის ყველა დამრიგებელი ინდივიდუალურ დღის წესრიგს ამზადებს, რომელიც სკოლის დირექციასთან უნდა შეათანხმოს. მშობელთა რიგგარეშე კრების მოწვევა, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია კლასის დამრიგებელს ან დირექტორს. საგნის მასწავლებელს ადმინისტრაციასთან ან კლასის დამრიგებელთან შეთანხმებით უფლება აქვს გამოიძახოს მშობელი.

დასტურდება:

სკოლის ვებ-გვერდი;

შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ შინაგანაწესი 2018-2019 სასწ. წ. (პროექტი);

დამრიგებლების სამუშაო გეგმები და ანგარიშები;

სკოლის ფოიეში გაკრული განცხადებები;

შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი;

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

აღწერა:

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი გაუმჯობესების გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებები. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივ კათედრებზე ხდება სასწავლო კურსის განხილვა. კლასებში მომუშავე პედაგოგები თანამშრომლებს და ერთობლივად განიხილავენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლების საკითხებს და მათი გაუმჯობესების გზებს, ამუშავენ სილაბუსებს. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება ამ გეგმების მონიტორინგი, ხოლო წლის ბოლოს ფასდება შედეგები და მუშავდება ახალი სასწავლო გეგმები. ეს მუდმივი ციკლია და პერიოდულად ხდება კორექტირება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისად. ამასვე ემსახურება სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარული სასკოლო წერები, მონიტორინგი, რომელიც ტარდება საგნის სწავლების დონის დასადგენად, კეთდება არსებული მდგომარეობის ანალიზი და მუშავდება სამოქმედო გეგმა. მონიტორინგისა და შედეგების გაანალიზების ერთ-ერთი ფორმა არის სასწავლო წლის ბოლოს გამოცდების ჩატარება, რომელსაც მოსწავლეები სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანში ახარებენ. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემდგომ გაუმჯობესებას ხელს უწყობს პედაგოგიურ საქმიანობაში გავრცელებული მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი „ღია“ გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა. მასწავლებელთა საქმიანობას პერიოდულად სწავლობს და აფასებს შესაბამისი საგნობრივი კათედრის გამგე და დირექტორი.

დასტურდება:

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დებულება, 2018-2019

სასწ. წ. (პროექტი);

შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ 2018–2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

აღწერა:

სკოლა განთავსებულია ერთ მისამართზე, თემქის დასახლება XI მკ/რ , I კვარტალი

1.საკუთრებაში ფლობს: თემქის დასახლება, XI მკ/რ , I კვარტალი, შენობის I სართულზე არსებული ფართი შეადგენს 237,37კვ.მ. II სართულზე არსებული ფართი – 70,98კვ.მ. და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი 01/12/02/014/024

2. ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი:-- წილის ოდენობა, უძრავი ქონების ფართობი.

შ.პ.ს. „ალბიონს“ სპორტული დარბაზის იჯარის წესით გამოყენების უფლებით ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შ.პ.ს კერძო სკოლა „თამარიონთან“. „გამქირავებელი“ შ.პ.ს. კერძო სკოლა „თამარიონი“ (ს/კ 200013653), მის. თემქის დასახლება, XI მკ/რ , II კვარტალი, დირექტორი: გულიკო კვიციანი

3. შ.პ.ს. „ალბიონს“ ფართის იჯარის წესით გამოყენების უფლებით ხელშეკრულება აქვს დადებული საკუთრების მფლობელ ფიზიკურ პირთან - მანანა ასათიანთან (პ/ნ 01021016938) „დამქირავებელი“— შ.პ.ს. „ალბიონის“ დირექტორი: მანანა ასათიანი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	თემქის დასახლება, XI მკ/რ , I კვარტალი	237,37კვ.მ.
2.	თემქის დასახლება, XI მკ/რ , I კვარტალი	70,98კვ.მ.
3.	თემქის დასახლება, XI მკ/რ , II კვარტალი	250 კვ.მ.
4.	თემქის დასახლება, XI მკ/რ , I კვარტალი	107 კვ. მ.

დასტურდება:

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა № დ -336;
იჯარის ხელშეკრულება,
რეესტრში რეგისტრაციის ნომერი №0112.02.021.000;
შენობის აზომვითი ნახაზი;

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი იჯარის ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან (მანანა ასათიანი პ/ნ 01021016939); რეესტრში რეგისტრაციის ნომერი №8820146445100.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

აღწერა:

სკოლის საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების შესაბამისი ინვენტარით. ინდივიდუალური მერხებით, კლასებში არის საკლასო დაფები და სხვა საჭირო ინვენტარი: კარადები, მასწავლებლის მაგიდა, სასწავლო გეგმის შესაფერისი საგანმანათლებლო რესურსი (პლაკატები, სურათები, რუკები, ბურთები), კვლევითი სამუშაოებისათვის. შევიძინეთ მაგნიტური დაფები. ბიბლიოთეკა მდიდარია წიგნადი ფონდით, აუდიო წიგნებით.

დასტურდება:

სკოლის ბალანსი;
ბუღალტრული აღრიცხვის ფორმები;
საინვენტარიზაციო წიგნი;
მიღება-ჩაბარების აქტები;
ხელშეკრულება ინდივიდუალური მერხების და სკამების დამზადების შესახებ;

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

აღწერა:

სპორტის სახეობებიდან სკოლას არჩეული აქვს მძლეოსნობა, ფრენბურთი, ჭადრაკი. სკოლას ჰყავს სპორტის ამ სახეობების შესაბამისი პერსონალი და ინვენტარი. დაგეგმილია სკოლაში სისტემატიურად ჩატარდეს სპორტის დღე, შიდა ჩემპიონატები, საკვირაო ტურნირები, „მხიარული სტარტები“, ნომინაციები „ყველაზე საუკეთესო სპორტული კლასი“.

დასტურდება:

ინვენტარიზაციის მასალები;
ადგილზე ვიზუალური დათვალიერება;
საიჯარო ხელშეკრულება ქონების იჯარასთან დაკავშირებით,
ინვენტარის შესყიდვის ხელშეკრულებები;
მიღება-ჩაბარების აქტები;
სასაქონლო ზედნადებები;
სალაროს ქვითრები.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

აღწერა:

სკოლას შექმნილი აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. მასწავლებლებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი წარმატებული საქმიანობისათვის.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსებულია კოლბები; მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა ნივთები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა.

დასტურდება:

ხელშეკრულება „ინსტა-ჯორჯიასთან“;
გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

აღწერა:

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის სკოლა უზრუნველყოფს ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მუდმივად მიწოდებას. ე.წ. „სველი წერტილები“ მოვლილია და მოწესრიგებული. ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა, მუშაობს კვების ბლოკი. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და სახანძრო უსაფრთხოების წესები. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. სკოლა ქალაქის ელექტროენერგიის მიწოდების განსაკუთრებულ ობიექტების სიაშია, საგანგებო სიტუაციების შემთხვევისთვის სკოლას გააჩნია დიზელ-გენერატორი, რომელიც მუდმივ მზადყოფნაშია და გამოიყენება ავარიულ შემთხვევაში შენობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის. სკოლას აქვს სადღეღამისო წყალმომარაგება. სკოლის შენობაში მოქმედებს 4 საპირფარეშო ოთახი, 9 სველი წერტილით და მათ შორის, 1 საპირფარეშო, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლის შენობაში ნათელი ოთახებია, ბუნებრივი განათებით.

დამონტაჟებულია თანამედროვე ტიპის გათბობის სისტემა: ერთი უცხოური ტიპის საქვაბე ბუნებრივ აირზე.

დასტურდება:

ელექტროენერგიის, გაზის მიწოდებაზე დამადასტურებელი ხელშეკრულება;
კომუნალური მომსახურების გადახდის ქვითრები;
კვების ბლოკის იჯარის წესით გამოყენების უფლებით სარგებლობის ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან;

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი
ვიზუალური დათვალიერება.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

აღწერა:

სკოლის ბიბლიოთეკაში შექმნილია ყველა პირობა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების დამოუკიდებელი მუშაობისათვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რომელიც დალაგებულია ანბანურად და თემატურად, მოიცავს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების, მათ შორის მოსწავლეთა ასაკის შესაფერის მხატვრულ, სამეცნიერო და დამხმარე ლიტერატურას. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო პერიოდულ გამოცემებსა და მეთოდურ მასალებს. სამკითხველო დარბაზი კეთილმოწყობილია. სკოლას აქვს ბიბლიოთეკის სამუშაო დებულება. ბიბლიოთეკის სამუშაო დრო მოსახერხებელია მოსწავლეთათვის და პედაგოგებისათვის. ბიბლიოთეკარის დახმარებით ისინი ეცნობიან ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს მასალებს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ენებზე. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 818 ერთეულს, გაჩნია სასკოლო სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც მოიცავს სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ წიგნებს. მასწავლებელთა ინფორმირების, მათი პროფესიული ზრდის მიზნით, სკოლას გამოწერილი აქვს სხვადასხვა სახის ჟურნალ-გაზეთები. სკოლის მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს საშინაო დავალებებისა და დამატებითი მუშაობისთვის. ყოველ სასწავლო წელს მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოთხოვნის გათვალისწინებით ხდება ბიბლიოთეკის შევსება. შექმნილია აუდიო წიგნები.

დასტურდება:

საინვენტარო წიგნი;
ანბანური კატალოგი;
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.
მკითხველის ფორმულარები;
ბიბლიოთეკის დებულება,

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა:

სკოლაში შექმნილია სსსმ მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისათვის შესაფერისი გარემო, ხელმისაწვდომია თავისუფალი გადაადგილება პანდუსის მეშვეობით; სკოლის მატერიალური ბაზა, კლასებში მოსწავლეთა

13

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

მცირე რაოდენობა, დღის გახანგრძლივებული რეჟიმი, იძლევა საშუალებას უზრუნველყოთ სხვადასხვა კატეგორიისა და შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან სწავლებისა და განვითარების თანაბარი პირობები. სკოლაში შემუშავებულია ინკლუზიური განათლების დებულება, რომელითაც ის ემსახურება აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებს. განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებას.

სკოლის საპირფარეშოებიდან ერთი განკუთვნილია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.

დასტურდება:

ინკლუზიური განათლების დებულება;
პანდუსები;
შენობის პასპორტი;
სკოლის გარემოს ვიზუალური დათვალიერება.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

აღწერა:

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას, სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებას. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, იგი აღჭურვილია შიდა ქსელსა და ინტერნეტში ჩართული 9 თანამედროვე კომპიუტერით, 1 პრინტერით, 1 სკანერით, 1 ქსეროქსით, 2 ლეპტოპით, 1 პროექტორი და 2 გარე კამერა და 5 შიდა კამერა. სკოლას აქვს ვებ-გვერდი www.alboni.edu.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ, მონაცემები ხელმძღვანელი და პედაგოგიური პერსონალის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, განცხადებები და სხვადასხვა სახის მასალა. სკოლას აქვს თვალსაჩინოებები, სტენდები, საგამოფენო კუთხე, აქვს facebook –ზე თავისი გვერდი – შ.პ.ს. ალბიონი 2001 და კერძო სკოლა ალბიონი.

დასტურდება:

სკოლის ვებგვერდი www.alboni.edu.ge;
ინვენტარიზაციის აქტები;
კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის ხელშეკრულებები;
გადახდის ქვითრები;

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

აღწერა:

სკოლაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის მიზნით შექმნილია 2 ცალი ცეცხლმაქრი მოწყობილობა, მისი გამოყენების შესახებ ინფორმირებულია სკოლის კოლექტივი.

სკოლის ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელსაც სათანადო ინსტრუქტაჟით და საცდელი პრაქტიკული მეცადინეობით ეცნობა სკოლის საზოგადოება;

სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კუთხე, აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით, ყავს ექთანი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში პირველადი დახმარების გაწევას როგორც სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის.

შპს კერძო სკოლა „ალბიონი“ მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლას აქვს 7 ცალი ვიდეოკამერა, რომლითაც კონტროლდება შენობის შიგა და გარე პერიმეტრი, სკოლის დერეფანი. სკოლაში 24 საათის განმავლობაში არის დარაჯი.

დასტურდება:

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები;

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

სკოლის სამედიცინო მომსახურების და დახმარების დებულება;
ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარისა და საექიმო კაბინეტის აღჭურვილობის ინვენტარიზაციის მასალები;
ევაკუაციის გეგმა;
ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შესყიდვის ხელშეკრულებები;

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

აღწერა:

სკოლის ფუნქციონირება რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განხილულია პედსაბჭოზე და დამტკიცებულია დირექტორის მიერ, სადაც რეგულირდება: სტრუქტურა, თანამშრომელთა მიღებისა და დათხოვნის წესები; მოსწავლეთა მიღების წესები; თანამშრომელთა, მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის უფლება-მოვალეობები; დისციპლინარული დარღვევები და სახდელები; მოსწავლეებისა და მასწავლებლების წარმატებებისა და წახალისების ფორმები, შეფასების სისტემა და სხვა.

დასტურდება:

სკოლის წესდება, 2018-2019 სასწ. წ. (პროექტი)
სკოლის შინაგანაწესი, 2018-2019 სასწ. წ. (პროექტი)

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

აღწერა:

სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ასახავს სკოლის განვითარების მთავარ ორიენტირებს. მათში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-გაფართოების საკითხებზე, არსებული მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებზე. გათვალისწინებულია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების განვითარება. სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის სრულყოფის, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ცოდნის შედეგიანობის გაზრდის ხელშემწყობი პირობები. სკოლის განვითარების გრძელვადიან გეგმაში (6 წელი) არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით მკაფიო და გამოკვეთილი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. ეფექტურად დაგეგმილი რესურსების კონცენტრირებით, იქმნება სკოლის მისიის მიღწევის საფუძველი: სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ზრდა, საკლასო მენეჯმენტის გაუმჯობესება, ადამიანური რესურსების მართვის გონივრული პოლიტიკის გატარებით პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ეფექტური სისტემის შექმნა. სამოქმედო გეგმაში მითითებულია აღნიშნული

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

პრიორიტეტების განხორციელების კონკრეტული ღონისძიებები, შესრულების ვადები, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმები ითვალისწინებენ მოსწავლეებისთვის ცოდნის მიღების, უნარ-ჩვევების დაუფლებისა და მათი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებისათვის მუშაობის გაგრძელებას. მახვილდება ყურადღება ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის გაძლიერებაზე, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარის განვითარებაზე.

დასტურდება:

სასკოლო სასწავლო გეგმა, 2018-2019 სასწ.წ. (პროექტი)

სკოლის განვითარების გეგმადიანი (6 წლიანი) გეგმა, 2018-2019 სასწ.წ. (პროექტი)

ერთწლიანი სამოქმედო პროგრამა, 2018-2019 სასწ.წ. (პროექტი)

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

აღწერა:

სკოლაში მოქმედებს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის სისტემა. სკოლაში შექმნილია ბრძანებების, ოქმების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალები. შემუშავებულია სპეციალური საქმიანი ბლანკები, რომლებზეც გამოსახულია სკოლის ლოგო, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლაში მიმდინარეობს დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციების და სხვა სახის დოკუმენტების მოსწავლეთა მიღების, მოძრაობის, ცნობების გაცემის, პედაგოგიური საბჭოს სხდომების, კათედრების მუშაობის ოქმებისა და სხვა მიმდინარე პროცესების ამსახველი დოკუმენტების აღრიცხვა.

დასტურდება:

ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების, კორესპონდენციების აღრიცხვის და რეგისტრაციის წიგნები;

სათანადო წესით დანომრილი და დალუქული ბრძანების წიგნი;

ბრძანების სარეგისტრაციო ჟურნალი;

შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები;

კათედრების სხდომის ოქმების აღრიცხვის ჟურნალი;

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი აღწერა:
სკოლას ჰყავს სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლის მასწავლებელთა განათლების ცენზი და მომზადების დონე სრულად პასუხობს მოთხოვნებს და იძლევა საშუალებას სრულყოფილად განვახორციელოთ სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი. ყავს 1 უფროსი მასწავლებელი, 1 პროფესორი, სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი, იურისტი, ადმინისტრაციული, ტექნიკური და დამხმარე პერსონალი. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი.

დასტურდება:

სკოლის სტრუქტურა;
სამტატო განრიგი;
თანამშრომელთა პირადი საქმეები;
შრომითი ხელშეკრულებები;
ხელშეკრულებები მოსწავლის მშობლებთან;

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

აღწერა:

სკოლის პედაგოგიური კილექტივის შერჩევასა გათვალისწინებულ იქნა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის #68 დადგენილების მოთხოვნები.

დასტურდება:

სკოლის წესდება, 2018-2019 სასწ. წ. (პროექტი)
სკოლის შინაგანაწესი, 2018-2019 სასწ. წ. (პროექტი)

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

აღწერა:

თანამშრომლის მიღების წესი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:

1. სკოლის დირექტორი ამტკიცებს საკონკურსო შემადგენლობას. კონკურსანტების მიერ განცხადების წარდგენის ბოლო ვადამდე ერთი კვირით ადრე, რაც ფორმდება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით.
2. საკონკურსო კომისია შედგება 3 წევრისაგან. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექტორი, მოადგილე/იურისტი და შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის კათედრის გამგე;
3. საკონკურსო კომისიას და კონკურსის პირობებს (კრიტერიუმებს) ადგენს სკოლა.
4. სამუშაოზე მიღებულ პირთან სკოლის დირექტორი დებს შრომით ხელშეკრულებას წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ვადით.
5. სამუშაოს მაძიებელ კანდიდატთან გამოსაცდელი ვადით შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება არა უმეტეს 3 თვისა. სკოლის დირექტორს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს ვადით დადგენილი შრომითი ხელშეკრულება.
6. სკოლის დირექცია უფლებამოსილია ბრძანების საფუძველზე პროფესიული დაოსტატების მიზნით კონკრეტულ პირთან შეთანხმებით, შტატგარეშედ იყოლიოს რეზერვი ან მაძიებელი (სტაჟიორი) მასწავლებელი.
7. სამსახურში მიღებისას დაწესებულების ადმინისტრაცია მისაღებ კანდიდატს აცნობს შემდეგ დოკუმენტაციას:
 - ა) შინაგანაწესი
 - ბ) ინსტრუქტაჟი შრომის დაცვის, უსაფრთხოების, ჰიგიენის, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების საკითხებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

კონკურსანტთა განცხადების განხილვა

1. საკონკურსო კომისია მასწავლებელთა მიერ წარმოდგენის განცხადებას დანიხილავს 1 კვირის ვადაში.
2. საკონკურსო კომისიის 2 წევრის გადაწყვეტილებით კონკურსანტი არ შეირჩევა, თუ წარმოდგენილი განცხადების მიხედვით არ დასტურდება კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობა კონკურსის პირობებთან.

გასაუბრება

1. საკონკურსო კომისია გასაუბრებაზე იბარებს განცხადების მიხედვით შერჩეულ კანდიდატებს.
2. საკონკურსო კომისია კონკურსანტებს ატყობინებს გასაუბრების თარიღს მითითებულ ვადაში. შეტყობინება უნდა მოხდეს გასაუბრების ჩატარებამდე სამი დღით ადრე. ეს წესი არ მოქმედებს , თუ სკოლაში არსებული მასწავლებლის ვაკანსიის გამო სასწავლო პროცესი შეფერხებულია. ასეთ შემთხვევაში , საკონკურსო კომისია უფლებამოსილია დაიბაროს გასაუბრებაზე კონკურსანტი გასაუბრების ჩატარებამდე 24 საათით ადრე.
3. შეტყობინებისას კონკურსანტებს დამატებით უნდა ეცნობოთ:
 - ადგილი , სადაც გასაუბრება ჩატარდება
 - გასაუბრების თარიღი და ვადა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

- გასაუბრებაზე წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი (განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია)
- გაკვეთილის თემა , რომელზეც კონკურსანტმა უნდა მოამზადოს გაკვეთილის გეგმა

გასაუბრებაზე არ დაიშვება კონკურსანტი, რომელიც საკონკურსო კომისიას არ წარუდგენს შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

გასაუბრების შინაარსი

1. საკონკურსო კომისია გასაუბრებაზე აფასებს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გაკვეთილის ჩატარების გეგმას. გაკვეთილის თემა კონკურსანტისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი.
2. კომისიის წევრებს შეუძლიათ კონკურსანტს დაუსვან კითხვები მისი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების , ასევე პიროვნული თვისებების გამოსავნელად.
3. კონკურსანტს დამატებით შეიძლება დაევალოს მოსწავლეებისათვის საცდელი გაკვეთილის ჩატარება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კონკურსანტის მიერ წარდგენილი გაკვეთილის გეგმას.
4. ასეთ შემთხვევაში საცდელი გაკვეთილის ჩატარების თაობაზე კონკურსანტებს ეცნობებათ წინასწარ.
5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გასაუბრებისათვის განკუთვნილი დრო შეიძლება დაეთმოს კონკურსანტის მიერ გაკვეთილის ჩატარებას

შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

1. საკონკურსო კომისია ანიჭებს თითოეულ კონკურსანტს საბოლოო ქულას, რომელიც მიიღება თითოეული კომისიის წევრის მიერ მინიჭებული ქულების შეკრების შედეგად მიღებული რიცხვის 3-მდე (საკონკურსო კომისიის წევრების რაოდენობა) გაყოფით

კონკურსანტების შერჩევა

1. საკონკურსო კომისია შეარჩევს იმ კონკურსანტს, რომელმაც უმაღლესი საკონკურსო ქულა მიიღო.
2. თანაბარი საბოლოო ქულების მქონე კონკურსანტებს შორის ერთ-ერთის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია ხმების უმრავლესობით
3. კონკურსის შედეგების შესახებ ყველა კონკურსანტს ეცნობება 3 სამუშაო დღის განმავლობაში. საკონკურსო საბუთების შენახვის ვადა

საკონკურსო საბუთები, მათ შორის კონკურსანტების განცხადებები , კონკურსის პირველ ეტაპზე შერჩეულ კონკურსანტთა ჩამონათვალი , მათ მიერ წარდგენილი გაკვეთილის გეგმები და სხვა საბუთების ასლები , აგრეთვე საკონკურსო კომისიის წევრების მიერ შევსებული შეფასების ცხრილები ინახება სკოლის არქივში 5 წლის განმავლობაში.

დასტურდება:

სკოლის შინაგანაწესი, 2018-2019 სასწ. წ. (პროექტი)

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

აღწერა:

შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლაში დასაქმებულ ყველა პირთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, ანაზღაურების ოდენობა და წესი, დავების გადაწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადები და სხვა თანმდევი საკითხები.

დასტურდება:

შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ შინაგანაწესი, 2018-2019 სასწ.წ. (პროექტი);
პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
თანამშრომელთა პირადი საქმეები;

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

აღწერა:

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის N68 დადგენილებით განისაზღვრა მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ ყველა მასწავლებელი უკვე ჩართულია ზემოაღნიშნულ სქემაში. არსებული მონაცემების მიხედვით სკოლას ყავს 14 მასწავლებელი, რომელთაგან 1 პროფესორი, 1 მოქმედი მასწავლებელი და 1 უფროსი მასწავლებელი. სქემაში ჩართულმა თითოეულმა მასწავლებელმა შეავსო თვითშეფასების კითხვარი და ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები სქემის ფარგლებში მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებსა და აკრედიტებულ პროგრამებში, რომელიც ორგანიზებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2016 წლის 4 აპრილის N279 ბრძანების შესაბამისად. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა დროულად იძიებს და აწვდის ინფორმაციას მიმდინარე ტრენინგებსა და აქტივობებზე.

დასტურდება:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა;
სკოლის პედაგოგის პროფესიული სტანდარტი;
სერტიფიკატები;
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებზე მონაწილეობის დამადასტირებელი დოკუმენტები;
მასწავლებელთა პორტფოლიოები;

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

აღწერა:

სკოლაში შექმნილია დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სკოლის თითოეული მუშაკის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას. ინტენსიურად მზადდება: გამოცემები, კედლის გაზეთები, სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოიფინება მოსწავლეთა ნამუშევრები. შედეგიანია მასწავლებელთა და საგნობრივი კათედრების ერთობლივი მუშაობა, ისინი ერთად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ამკვიდრებენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, მიმართავენ სწავლება/სწავლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მეთოდური სიახლეების განხილვას. სკოლაში სავალდებულოა მასწავლებლების, მოსწავლეების მორიგეობა. სკოლა აღჭურვილია სათვალთვლო კამერებით, კონტროლდება სკოლაში შესასვლელი კარები. სკოლა უზრუნველყოფილია 24 – საათიანი დაცვით. მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მათი მშობლების ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობისა და კეთილგანწყობის გარემო საშუალებას აძლევს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს (პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს) მაქსიმალურად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, ცოდნა და უნარი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს დასახული მიზნების რეალიზებაში. სკოლაში მოსწავლეთა და თანამშრომელთა უფლებამოვალეობებს, ქცევის წესს არეგულირებს შინაგანაწესი. სკოლაში შექმნილი მშვიდი ატმოსფერო ქმნის მოსწავლეებში უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდას, რაც სასწავლო მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მშობლებს, მშობელთა კომიტეტის საშუალებით ხორციელდება თანამშრომლობა სკოლასა და მშობელთა საზოგადოებას შორის. მშობლები აქტიურად ერთვებიან ყველა სასკოლო ღონისძიებებში.

დასტურდება:

შპს კერძო სკოლა „ალბიონის“ შინაგანაწესი, 2018-2019 სასწ. წ. (პროექტი)
სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

• დაწესებულება, რომელსაც სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სამი საფეხურის განხორციელება ავსებს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარს.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

V. საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, 1 კვ.

0197

დაწესებულების მისამართი, სოფელი/დაბა/რაიონი/ქალაქი, ქვეყანა

საფოსტო ინდექსი

599-64-05-25

599-64-05-25

ტელეფონი

ფაქსი

s.p.s.albioni@gmail.com

ელ-ფოსტა

www.albioni.edu.ge

ვებგვერდი

მანანა ასათიანი

დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი და გვარი

599 64 05 25

s.p.s.albioni@gmail.com

ტელეფონი

ელ-ფოსტა

თბილისი

26.02.2018 წ.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

